საქმე №2/5842-16

დაუსწრებელი გადაწყვეტილება

საქართველოს სახელით

შესაგებლის წარმოუდგენლობის გამო

9 ივნისი 2016 წელი **ქ. თბილისი**

თბილისის საქალაქო სასამართლოს
სამოქალაქო საქმეთა კოლეგია
მოსამართლე ბესიკ სისვაძე

მოსარჩელეები: როინ გურგენიძე, შპს ,,ლიმაპოლ ლიმიტედი"

მოსარჩელეების წარმომადგენელი: დავით ხარატი

მოპასუხე: შპს ,,ჰეფესტო +" (დირექტორი: გია ტატურაშვილი)

დავის საგანი: აუცილებელი გზით სარგებლობის უფლების დადგენა

სასამართლომ ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა შესაგებლის წარმოუდგენლობის გამო დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღების საკითხი და

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის წარმოებაშია როინ გურგენიძისა და შპს ,,ლიმაპოლ ლიმიტედის" სარჩელი შპს ,,ჰეფესტო +"-ის წინააღმდეგ. სასარჩელო მოთხოვნას წარმოადგენს მოსარჩელეთათვის მოპასუხის კუთვნილ მიწის ნაკვეთზე მდებარე ქ. თბილისში, მეფე სოლომონ მეორის ქ. №27 (ს/კ 01.18.06.006.238) მისამართზე აუცილებელი გზით სარგებლობის უფლების მინიჭება.

მოსარჩელეების განმარტებით, ისინი წარმოადგენენ ქ. თბილისში, კრწანისის ქ. №15 მისამართზე მდებარე მიწის ნაკვეთის თანამესაკუთრეებს. მითითებულ გარემოების სამტკიცებლად მათ მიერ წარმოდგენილია საჯარო რეესტრის ამონაწერი (იხ. ს.ფ. 13-14). მოსარჩელეები მიუთითებენ, რომ მათ მოპასუხე უკრძალავს ისარგებლონ იმ მიწის ნაკვეთის ნაწილით, რომელიც მოპასუხის საკუთრებაა და მასზე გადაადგილების გარეშე წარმოუდგენელია მოსარჩელეთა

საკუთრებაში არსებული ნაკვეთით სარგებლობა. მოპასუხის ნაკვეთზე გამავალი აუცილებელი გზის გამოყენების გარეშე, მოსარჩელეთა ნაკვეთი გამოუდეგარ ნივთად იქცევა.

მითითებულ გარემოებებზე დაყრდნობით როინ გურგენიძე და შპს ,,ლიმაპოლ ლიმიტედი" ითხოვენ მოპასუხე შპს ,,ჰეფესტო +" -ის კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (ს/კ 01.18.06.006.238) აუცილებელი გზით სარგებლობის უფლების მინიჭებას.

სასამართლოს მიერ მოპასუხე შპს ,,ჰეფესტო +"-ის დირექტორ გია ტატურაშვილს სარჩელი თანდართულ მასალებთან ერთად ჩაბარდა პირადად 2016 წლის 31 მარტს (იხ. უკუგზავნილი ს.ფ. 43). სარჩელთან ერთად მოპასუხეს ასევე ჩაბარდა სასამართლოს გზავნილი, სადაც მითითებული იყო, რომ გზავნილის ჩაბარებიდან 10 (ათი) დღის ვადაში მოპასუხეს უნდა წარმოედგინა შესაგებელი. ამასთან მხარეს განემარტა, რომ შესაგებლის არასაპატიო მიზეზით წარმოუდგენლობის შემთხვევაში სასამართლო მიიღებდა დაუსწრებელ გადაწყვეტილებას სარჩელის დაკმაყოფილების თაობაზე. აღნიშნულის მიუხედავად, მოპასუხე შპს ,,ჰეფესტო +"-ს შესაგებელი დღემდე არ წარმოუდგენია და არც მისი წარმოუდგენლობის საპატიო მიზეზების თაობაზე უცნობებია სასამართლოსათვის.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 232[1]-ე მუხლის შესაბამისად, სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში შესაგებლის წარმოუდგენლობა, რაც გამოწვეულია არასაპატიო მიზეზით, იწვევს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანას. აქვე მნიშვნელოვანია ის გარემოება, თუ რამდენად ამართლებს იურიდიულად სასარჩელო მოთხოვნას სარჩელში მითითებული გარემოებები. დაუსწრებელი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ სარჩელში მითითებულია მოთხოვნის გამამართლებელი გარემოებები. ამასთან, დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღებისას სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები დამტკიცებულად ითვლება და სასამართლო მხოლოდ ადგენს, თუ რამდენად არის შესაძლებელი დამტკიცებულად ჩათვლილი გარემოებებიდან სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილება.

განსახილველ შემთხვევაში საქმეზე დადგენილია:

ა) ქ. თბილისში, მეფე სოლომონ მეორეს ქ. №27 მისამართზე მდებარე უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი 01.18.06.006.238) მესაკუთრედ რეგისტრირებულია მოპასუხე შპს ,,ჰეფესტო +" (იხ. ს.ფ. 17-18).

ბ) ქ. თბილისში, კრწანისის ქ. №15 მისამართზე მდებარე უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი 01.18.06.006.096) თანამესაკუთრეებად მითითებულნი არიან მოსარჩელეები როინ გურგენიძე და შპს ,,ლიმაპოლ ლიმიტედი" (იხ. ს.ფ. 13-14).

გ) ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს #000456516 დასკვნის შესაბამისად, მიწის ნაკვეთთან (ს/კ 01.18.06.006.096) უმოკლესი (ყველაზე ოპტიმალური) საავტომობილო და საფეხმავლო კავშირი საჯარო გზასთან შესაძლებელია მოეწყოს კრწანისის ქუჩის მხრიდან მოპასუხეთა საკუთრებაში არსებული #01.18.06.006.238 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის გავლით.

ამდენად, აღნიშნული დასკვნით დადასტურებულია, რომ მოსარჩელის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების გარშემო სატრანსპორტო კავშირი საჯარო გზასთან არ არსებობს. საჯარო გზასთან დაკავშირება შესაძლებელია მოპასუხის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის მეშვეობით.

სასამართლომ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 230-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები დამტკიცებულად ჩათვალა. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის მოთხოვნათა მიხედვით, სამართლებრივი თვალსაზრისით შეაფასა სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები და მიიჩნია, რომ გარემოებები იურიდიულად ამართლებს მოსარჩელის მოთხოვნას.

სამოქალაქო კოდექსის 180-ე მუხლის თანახმად, თუ მიწის ნაკვეთს არა აქვს ჯეროვანი გამოყენებისათვის აუცილებელი კავშირი საჯარო გზებთან, ელექტრო, ნავთობის, გაზისა და წყალმომარაგების ქსელთან, მაშინ მესაკუთრეს შეუძლია მეზობელს მოსთხოვოს, რომ მან ითმინოს მისი მიწის ნაკვეთის გამოყენება ამგვარი აუცილებელი კავშირის უზრუნველსაყოფად. იმ მეზობლებს, რომელთა ნაკვეთზედაც გადის აუცილებელი გზა ან გაყვანილობა, უნდა მიეცეთ შესაბამისი კომპენსაცია, რომელიც, მხარეთა შეთანხმებით, შეიძლება ერთჯერადი გადახდით გამოიხატოს.

სამოქალაქო კოდექსის 180-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევა კანონისმიერი ბოჭვის ამსახველ ისეთ დანაწესს წარმოადგენს, როდესაც მხოლოდ აუცილებლობა, ობიექტური გარემოება (სხვა გზის არარსებობა, რაც ნივთის ჯეროვანი გამოყენების საშუალებას არ იძლევა და ამით ნივთის დანიშნულებისამებრ გამოყენების შესაძლებლობა მცირდება ან საერთოდ იკარგება) წარმოშობს სხვისი ნივთით სარგებლობის უალტერნატივო წინაპირობას.

განსახილველ შემთხვევაში მოპასუხეს აქვს ვალდებულება ითმინოს მის კუთვნილ მიწის ნაკვეთზე აუცილებელი გზით სარგებლობა, ვინაიდან მოსარჩელეებს წაერთმეოდათ შესაძლებლობა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 170-ე მუხლის შესაბამისად, კანონისმიერი და სახელშეკრულებო ბოჭვის ფარგლებში თავისუფლად ფლობდნენ, სარგებლობდნენ და განკარგავდნენ თავიანთ საკუთრებას.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 55-ე მუხლის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა მიღებული გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს. მოცემულ დავაზე

მოსარჩელეთა მიერ სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილია 120 (ას ოცი) ლარი. შესაბამისად, აღნიშნული თანხა სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ უნდა გადახდეს მოპასუხეს.

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 230-ე, 232[1]-ე, 234-237-ე მუხლებით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. მიღებულ იქნეს დაუსწრებელი გადაწყვეტილება როინ გურგენიძესა და შპს ,,ლიმაპოლ ლიმიტედის" სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილების თაობაზე;

2. მოპასუხე შპს ,,ჰეფესტო +"-ის საკუთრებაში არსებულ, თბილისში, მეფე სოლომონ II-ის ქუჩა #27 მისამართზე მდებარე 2097.00მ[2] დაზუსტებული ფართობის მქონე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი 01.18.06.006.238) განაშენიანებისაგან თავისუფალ ნაწილზე აღიარებული იქნას მოსარჩელეების როინ გურგენიძის (პ/ნ 01009000855) და შპს ,,ლიმაპოლ ლიმიტედის" (ს/ნ 405038604) აუცილებელი, სამანქანო და ფეხით მოსიარულეთა გზით სარგებლობის უფლების არსებობა.

3. მოპასუხე შპს ,,ჰეფესტო +"-ს გადახდეს მოსარჩელეთა სასარგებლოდ დავით ხარატის მიერ სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი 120 (ას ოცი) ლარი;

4. განემარტოს მოპასუხეს, რომ ამ გადაწყვეტილებაზე საჩივრის შეტანა შეუძლია თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6), დაუსწრებელი გადაწყვეტილების ასლი ჩაბარებიდან 10 (ათი) დღის განმავლობაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ დაუსწრებელი გადაწყვეტილება შედის კანონიერ ძალაში და აღარ გასაჩივრდება.

მოსამართლე: **ბესიკ სისვაძე**



ლევან სამხარაულის სახელობის
სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო
LEVAN SAMKHARAULI NATIONAL FORENSICS BUREAU

საჯარო სამართლის იურიდიული პირი
LEGAL ENTITY OF PUBLIC LAW

№ 5000438216
29/01/2016
201 წ.

5000438216

მოქალაქე დავით ხარატს

(თბილისი ვაჟა-ფშაველას I ჩიხი #1/43, ოთახი 30)

პატონო დავით,
ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო, თქვენი მომართვის (ბიუროს 2015 წლის 16 დეკემბრის რეგისტრაციის N1009337615) საფუძველზე, გიგზავნით N000456516 დასკვნას.
დანართი:
ექსპერტის დასკვნა 04 ფურცლად;

პატივისცემით,

გიორგი თვაური
ბიუროს უფროსი

თბილისი 0162, ჭავჭავაძის გამზ. №84
84 Chavchavadze ave., Tbilisi 0162, Georgia
ქუთაისი 4600, მესხის ქ. №5
5 Meskhi str. Kutaisi 4600., Georgia
ბათუმი 6000, პუშკინის ქ. №145
145 Pushkini str. Batumi., Georgia
(995 32) 225 84 84
(995 32) 229 05 24
info@forensics.ge
(995 431) 21 30 03
info@forensics.ge
(995 422) 27 94 30
info@forensics.ge
WWW.EXPERTIZA.GOV.GE WWW.FORENSICS.GE

000456516

ექსპერტის დასკვნა № 000456516

გაფრთხილება

კირიაკ ზავრიევის სამშენებლო მექანიკის, სეისმომედეგობის და საინჟინრო ექსპერტიზის ცენტრი ს(დეპარტამენტი) უფროსის მიერ განმემარტა ექსპერტის უფლება-მოვალეობები, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 168-ე და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 51-ე და 52-ე მუხლებით. ამასთან, ცრუ ჩვენების, ყალბი დასკვნის, საექსპერტო კვლევის ობიექტის დაუცველობისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ გაფრთხილებული ვარ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 370-ე მუხლის შესაბამისად.

ექსპერტიზის ჩატარების საფუძველი

ექსპერტიზის სახეობა:

დამწიშნავი :

მისამართი: თბილისი ვაჟა-ფშაველას I ჩიხი #1/43, ოთახი 30

სახელი და გვარი: დავით ხარატი

საფუძველი: განცხადება

შემსრულებელი ექსპერტები :

ლაზარე კირიაკიდის / კირიაკ ზავრიევის სამშენებლო მექანიკის, სეისმომედეგობის და საინჟინრო ექსპერტიზის ცენტრი (დეპარტამენტი)ს საინჟინრო ექსპერტიზის სამმართველოს ექსპერტი, სპეციალობით მუშაობის 2 წლის სტაჟით.

ექსპერტიზის წინაშე დასმული კითხვები

გთხოვთ მოგვიმზადოთ დასკვნა ჩვენს საკუთრებაში არსებულ ნაკვეთზე მისადგომად, რა გზით შეიძლება მიყვანის იქნეს აუცილებელი გზა, ნაკვეთის სარგებლობისათვის, მასზე შენობა-ნაგებობიების განთავსების მიზნით შემდგომში.

შემოსვლის თარიღი: 16.12.2015წ.

გასვლის თარიღი: 29.01.2016წ

დასკვნა

ქ. თბილისში, კრწანისის ქუჩა N15-ში N01.18.06.006.096 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთთან უმოკლესი (ყველაზე ოპტიმალური) საავტომობილო და საფეხმავლო კავშირი საჯარო გზასთან შესაძლებელია მოეწყოს კრწანისის ქუჩის მხრიდან N01.18.06.006.238 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის გავლით (იხ. დანართიი N2).

დეტალურად იხილეთ გამოკვლევა.

ლაზარე კირიაკიდის

გამოკვლევა

ექსპერტის დასკვნის მომზადება წარმოებს ადგილზე საკვლევი ობიექტის შესწავლისა და მოქმედი ტექნიკური ნორმების ურთიერთშედარების მეთოდით. წარმოდგენილი განცხადების თანახმად, გამოსაკვლევი ობიექტი მდებარეობს ქ. თბილისში, კრწანისის ქუჩა N15-ში.

საჯარო რეესტრის მონაცემების მიხედვით:

- ქ. თბილისში, კრწანისის ქუჩა N15-ში N01.18.06.006.096 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულია 2020 კვ.მ მიწის ნაკვეთი

000456516

ექსპერტის დასკვნა № 000456516

დაზუსტებული ფართით, რომლის მესაკუთრეები არიან შ.პ.ს. „ლიმაპოლ ლიმიტედი" და როინი გურგენიძე.

ექსპერტიზის წინაშე დასმულ კითხვაზე პასუხის გაცემის მიზნით ჩემს მიერ ადგილზე მოხდა ზემოაღნიშნული მიწის ნაკვეთის ვიზუალური დათვალიერება და მის გარშემო არსებული სიტუაციის შესწავლა. შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ აღნიშნულ მიწის ნაკვეთს ფაქტობრივი მდგომარეობით არ გააჩნია დამოუკიდებელი კავშირი საჯარო გზასთან, როგორც საფეხმავლო ასევე სატრანსპორტო. აღნიშნულ მიწის ნაკვეთთან დაკავშირება შესაძლებელია საფეხმავლო ბილიკით N01.18.06.006.238 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის გავლით. აღსანიშნავია, რომ საკვლევი მიწის ნაკვეთი მდებარეობს ამაღლებულ ფერდობზე კრწანისის ქუჩის მიმართებაში. აღნიშნულ მიწის ნაკვეთს საჯარო რეესტრის მონაცემების მიხედვით სამი მხრიდან ესაზღვრება რეგისტრირებული მიწის ნაკვეთები, დასავლეთ და ჩრდილოეთ ნაწილში მთლიან სიგრძეზე მდებარეობს ხევი, ხოლო აღმოსავლეთ ნაწილში არის ქანობიანი რელიეფი (იხ. დანართი N1).

სამშენებლო ნორმებისა და წესების „სნ და წ 2.07.01-89" (СниП 2.07.01-89) მიხედვით ქალაქში განთავსებული მეორეხარისხოვანი გასასვლელების (საავტომობილო გზების) მინიმალური სიგანე უნდა იყოს 3,5 მეტრი, ხოლო ფეხით გადაადგილებისათვის გზის მინიმალური სიგანე უნდა იყოს 0,75 მეტრი.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით:

ქ. თბილისში, კრწანისის ქუჩა N15-ში N01.18.06.006.096 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთთან უმოკლესი (ყველაზე ოპტიმალური) საავტომობილო და საფეხმავლო კავშირი საჯარო გზასთან შესაძლებელია მოეწყოს კრწანისის ქუჩის მხრიდან N01.18.06.006.238 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის გავლით (იხ. დანართიი N2).

აღნიშნულ მიწის ნაკვეთთან დასაკავშირებელი საავტომობილო და საფეხმავლო გზის მოწყობის შემთხვევაში საჭიროა შედგენილ იქნას შესაბამისი პროექტი, რომელიც დაზუსტებულ იქნება მხარეთა შეთანხმებითა და ადგილზე დაზუსტების საფუძველზე, ასევე კონკრეტულად განსაზღვრული იქნება გზის მოსაწყობად საჭირო ჩასატარებელი სამშენებლო სამუშაოები.

ლაზარე კირიაკიდის

გამოყენებული მასალები

ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

საკადასტრო გეგმები

სამშენებლო ნორმები და წესები „სნ და წ 2.07.01-89" (СниП 2.07.01-89)

ექსპერტის დასკვნა ტექნიკური წესით გადაამოწმა: კახაბერ კახელი

ექსპერტის დასკვნა ადმინისტრაციული წესით გადაამოწმა: ბადრი ლეფსაია

დანართი №1



რეგისტრირებული საზღვარი (წითელი ხაზი)

რეგისტრირებული შენობა

ხევი

დანართი №2



რეგისტრირებული საზღვარი (წითელი ხაზი)

რეგისტრირებული შენობა

ხევი

უმოკლესი (ყველაზე ოპტიმალური) კავშირი საჯარო გზასთან